ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 10.11.537

"21" აპრილი 2010 წ.

ქ. თბილისი

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"29" 04 2010 წ.
№ 010.270.000.37.101.000.040.

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის №22 იანვრის №1-6 გადაწყვეტილების მე-11 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის №1-1/1417 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დამტკიცდეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, დანართის შესაბამისად.
2. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქონების მართვის სააგენტოს.
3. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

დანართი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№———— „——“ ————————20 წ.

ეძლევა————————————————————————
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

————————————————————————მასზედ,

რომ მას გადაეცა საკუთრებაში ——————————————————
(ქონების დასახელება და მისამართი)

————————————————————————
(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

————————————————————————

————————————————————————
(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი ————————————————————

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი ——————————

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. მესამე ეგზემპლარი ინახება სსიპ ქონების მართვის სააგენტოში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან/ოქმთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო——————————————————
(ხელმოწერის ადგილი) *(სახელი, გვარი)*

——————————————
ბ. ა.